

# იანვრიდან ეპიდეფსიისა და პარკინსონის სამკურნალო მედიკამენტებზე ფასები განახევრდება



**ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ იანვრიდან ეპიდეფსიისა და პარკინსონის დაავადებებისთვის განკუთვნილ მედიკამენტებზე ფასები განახევრდება.**

ჯანდაცვის მინისტრის განმარტებით, მედიკამენტებზე მაღალი ფინანსური ბარიერი რჩება მათთვის ყველაზე დიდ გამოწვევად და ხერმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით სამინისტრო აქტიურად მუშაობს.

*„მედიკამენტებზე მაღალი ფინანსური ბარიერი რჩება ყველაზე დიდ გამოწვევად. საკუთრივ ფარმაცევტული ბაზარი ძალიან დიდია, ნახევარ მილიარდზე მეტია და ამ მედიკამენტების ყველაზე მეტი მომხმარებლები არიან ასაკოვანი ადამიანები, რადგანაც ქრონიკულ დაავადებებს ასე ახასიათებს. რა შეუძლია სახერმნიფოს, გააკეთოს. ერთია, რომ გაზარდოს ბიუჯეტი და შეუმციროს ამ ადამიანებს წამლები. ნახევარი მილიარდის დამატების ბიუჯეტი უბრალოდ არ გვაქვს და მეორე – თუკი ადამიანები აფთიაქში მისვრისას, დავუშვათ წერიწადში ჯამურად 400 მილიონს ხარჯავენ, სახერმნიფოს თავისი ინტერვენციით, უფრო ხარჯეფექტური შესყიდვით, მწარმოებელთან მოლაპარაკებით და ადგილობრივი მწარმოებლის ხერმენყობით, შეუძლია, ეს ხარჯი რეაღურად მეოთხედამდე*

*ჩამოიყვანოს“, – განაცხადა დავით სერგეენკომ.*

2017 წელს დაიწყო პირველი ეტაპი, როდესაც სოციალურად დაუცველებს ძარიან მკაფიოდ შერჩეული კრიტერიუმებით, შერჩეულ 23 მედიკამენტზე გაუჩნდა წვდომა თვეში ერთ ღარად, რომელიც ფარავდა ქრონიკული დაავადებების საკმაოდ ფართო სპექტრს.

*„2018 წლის სექტემბერში ჩამონათვარს დაემატნენ პენსიონრები და შშმ პირები. ადამიანები, რომლებიც არ შედიოდნენ ამ ჯგუფებში, დიაბეტის მეორე ტიპის წამარბე მნიშვნელოვნად გაეზარდათ წვდომა, ფასები შემცირდა. ეს ჩამონათვარი უკვე გაფართოვდა. წლის ბოლოდან დაემატება და გაიზრდება 30-მდე, რაც ნიშანდობლივია. ორი საკმაოდ გავრცელებული და ფინანსურად ძარიან მტკივნეული დაავადებებისთვის, ეპირეფსიისა და პარკინსონის დაავადებებისთვის განკუთვნილ მედიკამენტებზე ფასები განახევრდება. ეს მოხდება წლის ბოლოს, პრაქტიკურად იანვრიდან“, – აღნიშნა დავით სერგეენკომ.*

„ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ პროგრამა 2017 წლის ივლისიდან ამოქმედდა. პირველ ეტაპზე ის ვრცელდებოდა ნებისმიერი ასაკის სოციალურად დაუცველ პირზე, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქუდა განსაზღვრულია 100 000-ის ჩათვლით. მიმდინარე წლის აგვისტოდან შეღავათებით სარგებლობა ე.წ. მეორე ტიპის დიაბეტის მქონე ყველა პაციენტს შეუძლია, რომლებსაც შესაძლებლობა მიეცათ, მათთვის საჭირო მედიკამენტები ნახევარ ფასად იყიდონ.

3 სექტემბრიდან პროგრამა კიდევ ერთხელ გაფართოვდა და ქრონიკული დაავადებების სამკურნალო 23 დასახელების მედიკამენტის 50 პროცენტამდე ფასდაკლებით შეძენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და ასაკით პენსიონრებსაც შეუძლიათ. პროგრამა ოთხი ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებზე ვრცელდება (გურ-სისხლძარღვთა დაავადებები, ფირტვის ქრონიკული დაავადებები, ფარისებრი ჯირკვრის დაავადებები და შაქრიანი დიაბეტის მეორე ტიპი).